დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 5

ქ. დმანისი 03 მაისი 2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი,
სხდომის მდივანი: თინათინ ციხელაშვილი

სხდომა დაიწყო: 12.:00
სხდომა დასრულდა: 12:20

დღის წესრიგი:

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

2	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 თებერვლის №გ-109.109220551 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**

3	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (მიწის ნაკვეთი) უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**

4	**განკარგულება:** სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**

5	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №გ-109-109220252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი:	**მ.აბრამიშვილი**

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული 5 და რიგგარეშედ დამატებული ერთი საკითხი:

6. ,,ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის საბიუჯეტო სახსრების ბოლნისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრებთან გაერთიანების შესახებ,''

სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1.მომხსენებელი: თ.ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის Nგ-109-109221054 განკარგულებით დამტკიცებული „დმანისის მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის Nგ-109.109220252 განკარგულებაში შეტანილი იქნა ცვლილება შემდეგ ორგანიზაციულ კოდში:

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 020501 "საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა -რეაბილიტაციის" არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 2777,6 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 3697,1 ათასი ლარის ოდენობით ანუ ზრდამ შეადგინა 919,5ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 020303 „კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში" არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 85,8 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 564,3 ათასი ლარის ოდენობით ანუ ზრდამ შეადგინა 478,5 ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 0206 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებების"არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 409,7 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 609,6 ათასი ლარის ოდენობით ანუ ზრდამ შეადგინა 199,9 ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 020202 „სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის" არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 2596,4 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 998,5 ათასი ლარის ოდენობით ანუ შემცირდა 1597,9 ათასი ლარის ოდენობით და მიმართული იქნა ზემოთ აღნიშნულ კოდში.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 010101 „მუნიციპალიტეტის საკრებულოს" შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 10,0 ათასი ლარის ოდენობით და აღნიშნული თანხა გადატანილი იქნა „სოციალური უზრუნველყოფის" მუხლში.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 050201 „ააიპ დმანისის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი"-ს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის თანხა 5,0 ათასი ლარი გადატანილი იქნეს სუბსიდირების მუხლში .

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 040101 „ააიპ სკოლამდელი აღზრდის სამსახურის" სუბსიდიის მუხლი 776.3 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 774.8 ათასი ლარის ოდენობით და აღნიშნული სხვაობა 1,5 ათასი ლარი გადატანილი იქნას სოციალური უზრუნველყოფის მუხლში და 2,5 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 4,0 ათასი ლარით.

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 25869.8 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 26

წინაღმდეგი:

2.მომხსენებელი : ლ.ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 თებერვლის №გ-109.109220551 განკარგულების დანართი 1 –ში, ამწე კალათის ფასის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც შემცირდა ნაცვლად - 22 700 ისა გახდა 6000 ლარი.

35	IVECO 50 C11. სპეციალიზებული.	VLV-747	2002	AV7491108	თეთრი	გაუმართავი	6000

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 26

წინაღმდეგი:

3.მომხსენებელი : ლ. ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (მიწის ნაკვეთი) უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მერიიდან წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, საჭიროა, საკრებულოს თანხმობა მიეცეს დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, რათა გადასცეს უსასყიდლოდ სარგებლობის აღნაგობის ფორმით, საქართველოს საპატრიარქოს, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში -უკანგორასა და გუგუთში მდებარე მიწის ნაკვეთები ს/კ 82.04.44. 132 ,ფართობი 4843კვ.მ და ს/კ 82.02.42. 229, ფართობი 1127კვ.მ, 99 წლის ვადით, მონასტრის სამეურნეო დანიშნულებისათვის სარგებლობის უფლებით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: მიეცეს საკრებულოს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს და დამტკიცებული იქნას აღნიშნული განკარგულების პროექტი.

მომხრე: 26

წინაღმდეგი:

4.მომხსენებელი: ლ.ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომართვის საფუძველზე მოთხოვნილი იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ.ახაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდით: №82.07.44.226 (ფართობი 2077 კვ.მ), №82.06.43.156 (ფართობი 16917კვ.მ), №82.06.43.158 (ფართობი 31477 კვ.მ) უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: თ. ნინიაშვილმა, კ.ოქრიაშვილმა- დაინტერესდნენ თუ რა დანიშნულებით ითხოვდა სახელმწიფო აღნიშნული მიწების გამოყენებას, რაზეც საკრებულოს თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა განუმარტა,რომ გესის მშენებლობისათვის იქნებოდა გამოყენებული, მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 26

წინაღმდეგი:

5.მომხსენებელი: მ. აბრამიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე"დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №გ-109-109220252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში, დამტკიცებული დანართის შესაბამისად, შესატანია შემდეგი ცვლილება:

1. პუნქტ 11-ს რგფ და მთის ფონდის პროექტების თანადაფინანსება გაიზარდა 327367 ლარით, ნაცვლად 360000 ლარისა, შეადგინა 687367 ლარმა. რეგ ფონდიდან ლიმიტს ზემოთ დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა გამოეყოს 200000 ლარი სოფ კიზლაჯლოში სასმელი წყლის რეაბილიტაციისთვის, ხოლო 327367 ლარი იქნება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ტანადაფინანსება.

2. პუნქტი 21-ს ქ. დმანისში ქეთევან დედოფლის ქუჩაზე მდებარე N#3 საბავშვო ბაღთან საცალფეხო ხიდის მოწყობის სამუშაოები გაიზარდა 3942 ლარით და ნაცვლად 54394 ლარისა, შეადგინა 58336 ლარმა, პროექტის გადაფასების შედეგად.
3. პუნქტი 27-ს საბავშო ბაღების გენერატორების შეძენა გაიზარდა 35000 ლარით და ნაცვლად 40000 ლარისა, შეადგინა 75000 ლარმა, დაემატა 1 გენერატორი.

ასევე ნუსხას დაემატა შემდეგი სამუშაოები:

1	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საკირეშე შიდა გზის რეაბილიტაცია	გზები	94000	
2	მერიის შენობაში საოფისე ფართების მოწყობა	შენობა ნაგებობები	160000	
3	სოფელ ამამლოში საცალფეხო ხიდის მოწყობა	ხიდები	37000	
4	ქ. დმანიში გორგასლის ქ.N1-ის მიმდებარე გაზის მილის გადატანა	კეთილმოწყობა	30500	

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 26

წინაღმდეგი:

6.მომხსენებელი : პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის საბიუჯეტო სახსრების ბოლნისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრებთან გაერთიანების შესახებ,

აღნიშნული საკითხი რომელიც 2022 წლის 18 მარტის საკრებულოს სხდომაზე, დამტკიცებული იქნა, ამჯერად საჭიროებს საკრებულოს მიერ, დმანისის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ბოლნისი"-ს მიერ (ს/კ 425358739) დმანისისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების მომზადებისა და რაგბის ტურნირებში მონაწილეობისათვის ფინანსური სახსრების გამოყოფის მიზნით, ბოლნისის მუნიციპალიტეტთან 2022 წლის საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე;

აზრი გამოთქვეს: კ.ოქრიაშვილმა, თ. აფრასიძემ - მიესალმებოდნენ თუ მუნიციპალიტეტში ფეხბურთის განსავითარებლადაც იქნებოდა უკეთესი ინიციატივა.

დაადგინეს: მიეცეს თანხმობა და დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 26

წინაღმდეგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: თინათინ ციხელაშვილი